N 34 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

„საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/09/2014, 010320000.10.003.018196) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის (დანართი №1) 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე;

ბ) სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე;

გ) სახელმწიფო შესყიდვების მენეჯერი;

დ) მთავარი იურისტი;

ე) საინფორმაციო ტექნოლოგიების ადმინისტრატორი;

ვ) მთავარი მრჩეველი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**